საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

**განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-

**NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT**

MES 6 15 01311681

16/12/2015

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას
(ქ.ბათუმი, რუსთაველის გამზ.№ 53, 6004,
ტელ: 577 179 779)

გიგზავნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ასლს.

ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე www.eqe.ge.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
დირექტორის მოადგილე
თამარ ზალიშვილი

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 200220(3546); (+995 32) 2 200220(3540) ; www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone/Fax: (+995 32) 2 200220(3546); (+995 32) 2 200220(3540) www.eqe.ge; info@eqe.ge

6000

# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 38

2015 წ. "18" 11

ქ.თბილისი

**სსიპ - საზღვაო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 301 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზღვაო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

| № | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | პროფესიული განათლების საფეხური | ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040671 | 78 | III | 15 |

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №11 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მანანა მიქაბერიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე